ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №51/1

დაბა თიანეთი „ 31 ” „ მაისი ” 2017 წელი

<u>ერთი მხრივ,</u> თიანეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ლელა ქიტესაშვილის სახით და

<u>მეორე მხრივ,</u> შპს “Construction Service” (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გაბუნიას სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებისა და პრეტენდენტის (შპს „თერგი“) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (SPA170006097) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

<u>1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები:</u>

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ-“ხელშეკრულება”) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 „ტექნიკური დავალება“ - (SPA170006097) ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

<u>2. ხელშეკრულების საგანი:</u>

2.1 ხელშეკრულების საგანია: **თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურებსა და სოფელ ჯერვალიძეებს <u>შორის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის სამუშაოები;</u>**

2.2 სატენდერო განცხადების ნომერი - SPA170006097;

2.3 კლასიფიკატორის კოდი: CPV-45221110.

2.4 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი.

2.5 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის №693 განკარგულება - სახელშეკრულებო ღირებულების 95%; ადგილობრივი ბიუჯეტი - სახელშეკრულებო ღირებულების 5%.

<u>3. ხელშეკრულების ღირებულება:</u>

3.1 შესასყიდი სამუშაოების ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2 შესასყიდი სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს **183`399** (ას ოთხმოცდასამი ათას სამას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის №693 განკარგულებით ფინანსდება 174 229 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით - 9 170 ლარი.

საქართველო თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GEORGIA MUNICIPALITY ADMINISTRATION OF TIANETI
№ 2483 01 232388378
2500 თიანეთი რუსთაველის ქ №67
67 Rustaveli st Tianeti

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

4.1 მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების მიხედვით.

4.2 მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით შემსყიდველის მოთხოვნისთანავე.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის და/ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. სამუშაოების შესრულების პირობები:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში და დაასრულოს **არაუგვიანეს 2017 წლის 28 ოქტომბრამდე** საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტების, წესების მოთხოვნების გათვალისწინებითა და ელექტრონული ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოადგინოს უკვე შესრულებული სამუშაოების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია - შუალედური ფორმა №2 და შესაბამისი შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის დასკვნა.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული სამუშაოს ღირებულება შუალედური ფორმა №2-ის, შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.4 მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოების შესრულებისას ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოხლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოახდინოს უსაფრთხოების ნორმების ყოველმხრივი უზრუნველყოფა. მინიმუმადე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.

5.5 შემსყიდველი წინამდებარე ხელშეკრულებას უკავშირებს ვალდებულების დროულ შესრულებას.

5.6 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესრულება.

5.7 სამუშაოები უნდა შესრულდეს სამუშაოების შესრულების თანხებში გაწერილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. სამუშაოების შესრულების ვადების კონტროლი ხორციელდება მოცემული გრაფიკით.

5.8 სამუშაოების შესრულების პროცესში მიმწოდებელი ხელმძღვანელობს გრაფიკით განსაზღვრული ვადებითა და სამუშაოების ეტაპების განხორციელების თანმიმდევრობით.

5.9 სამუშაოები უნდა შესრულდეს სამუშაოს ან მისი ნაწილის დასრულებისათვის დადგენილ დროში და უნდა შეესაბამებოდეს სამუშაოების განხორციელების გეგმა-გრაფიკში მოცემული სამუშაოების ჩაბარებისა და დასრულების გეგმას.

5.10 სამუშაოების მიმდინარეობისას, შემსყიდველთან შეთანხმებით შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს) გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების ეტაპების განხორციელების თანმიმდევრობა. გეგმა-გრაფიკში სამუშაოების განხორციელების თანმიმდევრობის ცვლილება არ გამოიწვევს ხელშეკრულებაში დამატებით ცვლილებას.

5.11 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ნებისმიერი სამუშაოს ეტაპის შეჩერება იმ პერიოდამდე, სანამ მიმწოდებელი არ შეასრულებს წინა ან მომდევნო სამუშაოს ეტაპს, მოცემული გრაფიკის ვადების შესაბამისად.

5.12 მიმწოდებელი უფლებამოსილია ვადამდე ადრე ჩააბაროს შემსყიდველს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.

5.13 განსაზღვრულ ვადაში სამუშაოების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას, წინამდებარე ხელშეკრულების მე-13 და მე-14 მუხლებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

<u>6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი:</u>

6.1 შესყიდვის ობიექტი ან/და მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის, მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი ფორმა №2-ის ხელმოწერის შემდეგ;

6.2 შესაძლებელია განხორციელდეს შუალედური ანგარიშსწორება სამუშაოების ნაწილის არა უმეტეს 70%-ისა. შუალედური ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების აქტი - ფორმა №2, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გეგმა-გრაფიკს (დროში, სამუშაოების მოცულობებში და თანხაში) და ხარჯთაღრიცხვას. მიმწოდებელმა ამ დოკუმენტაციების გათვალისწინებით (შესრულებული სამუშაოების აქტი - ფორმა №2, გეგმა-გრაფიკი, ხარჯთაღრიცხვა) და რეალურად არსებული სიტუაციის შეფასებით (თუ რა მოცულობის და ღირებულების სამუშაოები აქვს მიმწოდებელს შესრულებული) უნდა წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის ექსპერტიზის დასკვნა, რის შემდგომაც გაფორმდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებელმა ანგარიშსწორებამდე ასევე უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი წინსწრებად შეასრულებს გეგმა-გრაფიკით გაწერილ სამუშაოებს შემსყიდველი იტოვებს უფლებას, რომ მიმწოდებელის მიერ 6.2 პუნქტით გათვალსიწნებულ სრულყოფილად წარმოდგენილ დოკუმენტაციის საფუძველზე მას აუნაზღაურდება შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

6.4 გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

6.5 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

6.6 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დასრულების შემდეგ, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც დგინდება მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ურთიერთშესაბამისობა სატენდერო დოკუმენტაციასთან, პროექტით და ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებულ პირობებთან და წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტებთან (ფორმა №2-ებთან). აკრედიტირებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

6.7 მიმწოდებელმა დასრულებული სამუშაოების ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს სამუშაოების შესრულების ბოლო ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს <u>20 კალენდარული დღის ვადაში.</u>

7. საგარანტიო პირობები:

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ხარისხიანად, იმ მოცულობებისა და პარამეტრების მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია სატენდერო დოკუმენტაციაში (ხარჯთაღრიცხვაში) და ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტის პირობების სრული დაცვით.

7.2 საგარანტიო პერიოდში შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას შეტყობინებების საფუძველზე საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.3 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან **5 წელს**, რომლის განმავლობაში რაიმე ნაკლის/დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, გამოასწოროს წარმოქმნილი ნაკლოვანება/დეფექტი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.4 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით.

8. ანგარიშსწორება:

8.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ამ მუხლში მითითებული პირობების მიხედვით.

8.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

8.3 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად (პერიოდულად), შუალედური ანგარიშსწორებით. შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს ფორმა №2-ის, ექსპერტიზის დასკვნის (რასაც ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტი) და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8.5 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფორმა №2-ის წარმოდგენის შემდეგ პირველ ეტაპზე აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება არაუმეტეს 70%-სა.

8.6 დარჩენილი 30%-ის ანაზღაურება მოხდეს სამუშაოს დასრულების შემდეგ, შესაბამისი ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შედეგად გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირების შემთხვევაში აღნიშნული ოდენობის თანხა არ ანაზღაურდება, გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრამდე.

9. ფასები:

9.1 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ძირითად პარამეტრს.

9.2. ხელშეკრულების ერთეული ფასების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ინფლაციის მაღალი დონისა და საგადასახადო რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, ასევე ყველა სხვა შემთხვევაში, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული. ასეთ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით, ცვლილებების გაანგარიშების წესს ადგენს შემსყიდველი, რაზეც ფორმდება ხელშეკრულების დანართი.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა:

11.1 მიმწოდებელს შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ აქვს უფლება, რომ გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

12. ქვე-კონტრაქტორები:

12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ქვეკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (ქვეკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით).

12.2 ქვეკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

12.3 შემსყიდველის თანხმობის გარეშე ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ჯარიმის სახით პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

12.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.5 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა:

13.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ამ ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, რაც დადასტურდება შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებით, ეს ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების ძირითადი პირობების დარღვევად და შესაძლებელია შემსყიდველის მიერ ეს განხილული იქნეს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლად;

13.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

13.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) მიმწოდებლის მიერ სამუშაოების დაწყების ვადის 5 (ხუთ) კალენდარულ დღეზე მეტი დღით გადაცდენის შემთხვევაში (შემსყიდველისგან დამოუკიდებელი მიზეზებით), თუ სხვა ვადებს მხარეები არ შეათანხმებენ წერილობით, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო, შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველი დაგვიანებული დღისათვის. თუ ვადის გადაცილება გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი დღით შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააჯარიმოს მიმწოდებელი სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ გაუარესდა მხარის ფინანსური მდგომარეობა ან დადგა ასეთის საშიშროება;

დ) მხარის მიმართ არის ბანკროტად გამოცხადების მოთხოვნა;

ე) თუ მიმწოდებლის მიმართ სახელმწიფო ორგანოების ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოების მიერ მიღებულია გადაწყვეტილება ან გამოყენებულია ღონისძიება, რომელიც არსებითად ართულებს ან შეუძლებელს ხდის მათ მიერ საკუთარი ქონების განკარგვას.

ვ) თუ მხარეები უარს იტყვიან წინადადებაზე, შეცვალონ ეს ხელშეკრულება ვითარების მნიშვნელოვანი შეცვლის გამო;

ზ) თუ შესრულებამ შემსყიდველისათვის დაკარგა მნიშვნელობა.

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5 შესასრულებელი სამუშაოების (ფინანსური) გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში (სამუშაო ეტაპის ვადის გადაცილება), შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველი დაგვიანებული დღისათვის. თუ ვადის გადაცილება გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი დღით, თუ სხვა ვადებს მხარეები არ შეათანხმებენ წერილობით, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააჯარიმოს მიმწოდებელი სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

13.6 თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში სრულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულებისათვის დააჯარიმოს, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი თანხის 20%-ის ოდენობით;

ბ) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

13.7 საჯარიმო სანქციების გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

13.8 შემსყიდველი უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან ან სახელშეკრულებო ღირებულებიდან დაუკავოს თანხა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ორმაგ ოდენობამდე, დაკისრებული ჯარიმის სრულ დაფარვამდე.

13.9 წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული მუხლებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.10 პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

13.11 მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე, ასევე პასუხისმგებელია სამუშაოების მსვლელობის მთელი პერიოდის განმავლობაში უსაფრთხოების დაცვაზე. უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველისათვის ან მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

13.12 მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოების დასრულების შემდეგ დარჩენილი მასალის, ნარჩენების გათავისუფლება/უტილიზაციის წესების დაცვაზე და ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რაც შემსყიდველს ან მესამე პირს მიადგება, შესაბამისი წესების დარღვევის შედეგად.

13.13 შემსყიდველი არ არის პასუხისმგებელი იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც სამუშაოთა წარმოების დროს მიმწოდებელს წარმოეშობა მესამე პირ(ებ)ის წინაშე.

13.14 ხელშეკრულების შეწყვეტის (ურთიერთშეთანხმების გზით) გაფორმება ხდება დანართი სახით, შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

14.1 მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულების ვადების არაერთგზის დარღვევის შემთხვევაში, რამაც შეიძლება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი დღით დაგვიანდეს სამუშაოების საბოლოო ჩაბარების ვადა, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს საჯარიმო თანხის გადახდა, სახელშეკრულებო თანხის 20%-ის ოდენობით.

14.2 თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში სრულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს საჯარიმო თანხის გადახდა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

14.4 ხარვეზით შესრულებული სამუშაოს შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ნაკლოვანების აღმოჩენიდან, საამისოდ აუცილებელ გონივრულ ვადაში, მიიღოს საჭირო ზომები ხარვეზის გამოსასწორებლად, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ გადაუხადოს მიმწოდებელს აღნიშნული სამუშაოს ღირებულება.

14.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი განახორციელებს სამუშაოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამოდ, რის გამოც შემსყიდველს მიადგება ზიანი, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს აღნიშნული ზიანი, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14.6 საჯარიმო სანქციების გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

14.7 შემსყიდველი უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან ან სახელშეკრულებო ღირებულებიდან დაუკავოს თანხა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ორმაგ ოდენობამდე, დაკისრებული ჯარიმის სრულ დაფარვამდე.
14.8 პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

15. ფორს-მაჟორი:

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადავო საკითხების გადაწყვეტა:

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი:

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. გადასახადები და დაბეგვრა:

18.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. სხვა პირობები:

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავის სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

19.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

19.6 ყველა ის შეთანხმება და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

19.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, სამართალმემკვიდრეების, მემკვიდრეების, წარმომადგენლების, რწმუნებულების და მუშაკებისათვის.

19.8 თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვალა მიმწოდებლის რეკვიზიტები, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ამის შესახებ.

19.9 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც არსებითად ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლს ან პუნქტს, არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების გაუქმებას. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი და პუნქტი უნდა მიესადაგოს ახალ კანონმდებლობას.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

20.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი - მიმწოდებელთან და ორი პირი - შემსყიდველთან). წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

21. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
დასახელება: თიანეთის მუნიციპალიტეტი	დასახელება: შპს "Construction Service"
მისამართი: დ. თიანეთი, რუსთაველის ქ. №67	მისამართი: ქ. რუსთავი, მაზნიაშვილის ქ. №2
ტელეფონი: 0 (348) 29-14-14	ტელეფონი: 577 99 99 06
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
TRESGE22	BAGAGE22
ა/ნ: GE24NB0330100200165022	ა/ნ: GE08BG0000000561584300
საიდენტიფიკაციო კოდი: 232388378	საიდენტიფიკაციო კოდი: 404935647
ხელმოწერა _____	ხელმოწერა _____